

შეზღუდული პასუხისმგებლობის პირი „გოდელ ტექნოლოჯის“ ს/კ:402208464
მის: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N
1ა, სართული 4, საოფისე ფართი N 4დ

შპს „გოდელ ტექნოლოჯის“


ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის
2023 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
1. კომპანია და მისი საქმიანობა	6
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები, და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	7
4. ძირითადი საშუალებები	13
5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14
7. ამონაგები	14
8. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	14
9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15

შპს „გოდელ ტექნოლოჯის“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	126,763.26	74,385.00
არამატერიალური აქტივები		-	-
საინვესტიციო ქონება		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		126,763.26	74,385.00
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	109,135.41	87,186.00
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	1,069,488.64	311,156.00
მარაგები		-	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		1,695.82	5,168.00
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,180,319.87	404,202.00
სულ აქტივები		1,307,083.13	478,586.00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		148,435.00	148,435.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		936,325.68	330,152.00
სულ კაპიტალი		1,084,760.68	478,587.00
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-
გადასახდელი ხელფასი		222,322.45	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		222,322.45	-
სულ ვალდებულებები		222,322.45	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,307,083.13	478,587.00


ხათუნა გვილაზა


მთავარი ბუღალტერი


ეკატერინე კაჭანიძე
საოპერაციო დირექტორი


შპს „გოდელ ტექნოლოჯის“

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2023 წლის დასრულებული წლისათვის
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2,023.00	2,022.00
ამონაგები	7	6,667,913.66	3,631,666.00
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8	(5,349,554.98)	(2,340,540.00)
საერთო მოგება		1,318,358.68	1,291,126.00
სხვა შემოსავლები			
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(638,421.19)	(667,675.00)
სხვა ხარჯები		-	
საოპერაციო მოგება		679,937.49	442,824.00
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი		28,688.93	
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(102,451.80)	(62,051.00)
მოგება დაბეგვრამდე		606,174.62	330,152.00
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		606,174.62	330,152.00
მთლიანი სრული შემოსავალი:		606,174.62	330,152.00


ხათუნა გვილავა

მთავარი ბუღალტერი


ეკატერინე კატახიძე
საოპერაციო დირექტორი


შპს „გოდელ ტექნოლოჯის“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი			
წმინდა მოგება	-	330,151.00	330,151.00
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	148,435.00	-	148,435.00
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	148,435.00	330,151.00	478,586.00
წმინდა მოგება	-	606,174.62	606,174.62
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	148,435.00	936,325.62	1,084,760.62


ხათუნა გვილაშვა

მთავარი ბუღალტერი


ეკატერინე კაჭახიძე

საოპერაციო დირექტორი

შპს გოდელ ტექნოლოჯის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოდელ ტექნოლოჯის“ (შემდეგში კომპანია) წარმოადგენს მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2022 წლის 25 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საიდენტიფიკაციო ნომრით 402208464. კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N 1ა, სართული 4, საოფისე ფართი N 4დ. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები. კომპანიის 100% იანი წილის მფლობელია ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანია გოდელ ტექნოლოჯის ევროპა ლიმიტედ“ საიდენტიფიკაციო კოდით 4551774. კომპანიის დირექტორია ეკატერინე კაჭახიძე პ/ნ 01024072191; 2023 წელს კომპანიის საშუალო თანამშრომლების რაოდენობა იყო 50 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2023 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2023 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის ახსნა განმარტებითი შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის

ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა. კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები.

ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საეჭვო

და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში. ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა; ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურება და რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ფიფო მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ელექტრო გადაცემის მოწყობილობები	2-10
მანქანა-დანადგარები	3-20
დამხმარე მოწყობილობები და ხელსაწყოები	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10
ოჯარით აღებული ქონების	3-15
ოფისის აღჭურვილობა	3-10
კომპიუტერული ტექნიკა	3-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო

გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა

კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

4. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	ავტო და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობის ცვეთა	სულ
ისტორიული ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	-	-	-	-
შემოსვლა	84,898.90	-	-	84,898.90
გასვლა	(400.00)	-	-	(400.00)
31 დეკემბერი 2022	84,498.90	-	-	84,498.90
შემოსვლა	33,531.29	63,224.40	5,037.63	101,793.32
გასვლა	-	(10.17)	-	(10.17)
31 დეკემბერი 2023	118,030.19	63,214.23	5,037.63	186,282.05
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2021	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(10,113.71)	-	-	(10,113.71)
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(10,113.71)	-	-	(10,113.71)
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(36,706.20)	(11,750.67)	(948.21)	(49,405.08)
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(46,819.91)	(11,750.67)	(948.21)	(59,518.79)
საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2022	94,612.61	-	-	94,612.61
31 დეკემბერი 2023	164,850.10	74,964.90	5,985.84	126,763.26

5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული	-	-
ფული ბანკში	109,135.41	87.19
სულ	109,135.41	87.19

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,052,775.66	293,998.00
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	16,712.98	-
სხვა მოთხოვნები	-	23,016.00
სულ	1,069,488.64	317,014.00

7. ამონაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომსახურების რეალიზაცია	6,667,913.66	3,631,666.00
საქონლის რეალიზაცია	-	-
სულ	6,667,913.66	3,631,666.00

8. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
პირდაპირი ხელფასი	(5,066,303.33)	(2,340,540.00)
პირდაპირი ხელფასის საპენსიო ხარჯი	(13,866.68)	-
პირდაპირი ბონუსი	(55,186.45)	-
შვებულების დარიცხვა პირდაპირი	(214,198.52)	-
სულ	(5,349,554.98)	(2,340,540.00)

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შრომის ანაზღაურება	(354,159.85)	(3,159,080.00)
ცვეთა და ამორტიზაცია	(49,405.08)	(10,174.00)
საკონსულტაციო ხარჯი	(5,699.47)	(23,194.00)
ბანკის მომსახურება	(1,008.23)	(382.00)
იჯარის ხარჯი	(80,376.33)	(7,492.00)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	(28,294.89)	-
სხვა ხარჯი	(119,477.34)	-
სულ	(638,421.19)	(3,200,322.00)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 28 სექტემბრით;